

სკოპინგის დასკვნა N57

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 110 კვ ძაბვის ორჯაჭვიანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ბლექ სი პეტროლიუმი“ (ს/კ 405572394);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ხობის და ფოთის მუნიციპალიტეტები;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 03.09.2024;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „ბლექ სი პეტროლიუმი“ მიერ, წარმოდგენილია ხობის და ფოთის მუნიციპალიტეტებში, 110 კვ ძაბვის ორჯაჭვიანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროექტის მიზანს წარმოადგენს, შპს „ბლექ სი პეტროლიუმი“ ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს ელექტრომომარაგება, რისთვისაც შპს „ბლექ სი პეტროლიუმი“ გეგმავს 110 კვ ძაბვის მიწისზედა (საჰაერო) ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას. ამასთან, 110 კვ ძაბვის მიწისზედა ეგხ-ის ფარგლებში იგეგმება 220 კვ ძაბვის ორი ცალი საყრდენი ანძის განთავსება.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, 110 კვ ძაბვის მიწისზედა (საჰაერო) ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა დაგეგმილია ხობის და (სოფ. ყულევის მიმდებარე ტერიტორია) ფოთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. წარმოდგენილი ელექტრონული shp ფაილების მიხედვით, ეგხ-ის საწყისი წერტილი მდებარეობს შპს „ბლექ სი პეტროლიუმი“ ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს (2024 წლის 30 სექტემბრის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ბრძანება N547/ს) საპროექტო ქვესადგურის მიმდებარე ტერიტორიასთან (GPS კოორდინატები: X- 718506, Y- 4677961), ხოლო საბოლოო წერტილი ქ. ფოთის ნავსადგურის მიმდებარედ, დაახლოებით 280 მეტრში (GPS კოორდინატები: X- 720466, Y- 4675014). საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე იქნება 4 204მ. შპს „ბლექ სი პეტროლიუმი“ ეგხ-ის დერეფანი გაივლის კოლხეთის ეროვნული პარკის უშუალო სიახლოვეს. ელექტროგადამცემი ხაზი ერთ-ერთ საპროექტო მონაკვეთზე გადაკვეთს მდ. რიონს, რომელიც მოქცეულია კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის საზღვრებში.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის ალტერნატივები და უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა. ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის ალტერნატივის შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო უბანზე დაგეგმილია 110 კვ და ასევე დიდი მექანიკური დატვირთვების გათვალისწინებით და მდგრადობის უზრუნველყოფისათვის 220 კვ ძაბვის ორჯაჭვიანი ლითონის უნიფიცირებული კუთხურ-ანკერული და შუალედური საყრდენების მონტაჟი. 110 კვ ძაბვის ელ. გადამცემი ხაზის საყრდენების რაოდენობა შეადგენს 15 ერთეულს, ანძები იქნება „Y110-2+14“ (3 ცალი), „Y110-2+5“ (4 ცალი) და „PC110-6“ (8 ცალი), ხოლო 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენების რაოდენობა შეადგენს 2 ერთეულს, საყრდენები იქნება „Y220-2+14“ და “Y220-2+9“ ტიპის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტით გათვალისწინებულია 17 ცალი საყრდენი ანძის განთავსება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ეგზ-ის დერეფანი იწყება მდ.რიონის მარჯვენა სანაპიროდან კერძოდ, საპროექტო ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს საპროექტო ქვესადგურის ტერიტორიიდან, სადაც დაგეგმილია „N1/93“ საყრდენი ანძის განთავსება, რის შემდგომაც ეგზ მიემართება აღმოსავლეთის მიმართულებით და „N2/92“ და „N3/91“ ანძებს შორის კვეთს სარკინიგზო ხაზს და გაყვანილი იქნება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. „N3/91“-დან „N15/79“ საყრდენ ანძამდე ეგზ მიუყვება სარკინიგზო ხაზსა და საავტომობილო გზას („ჭალადიდი-ყულევი-ფოთი“), აღნიშნულ მონაკვეთზე ეგზ გაივლის კოლხეთის ეროვნული პარკის მომიჯნავედ. საპროექტო „N16/76“ ანძიდან ეგზ გადაკვეთს მდ.რიონს, რის შემდგომ „N17/75“ ანძა განთავსებული იქნება ქ. ფოთის ნაგავსაყრელიდან დაახლოებით 280 მეტრში.

საპროექტო ეგზ-ს დერეფნის განთავსების არეალში წარმოდგენილია ადგილობრივი მნიშვნელობის გრუნტიანი და ასფალტირებული საავტომობილო გზები. ახალი გზების მოწყობა საჭიროა მცირე მონაკვეთებზე. თითოეულ ანძასთან მოსაწყობი მისასვლელი გზების მაქსიმალური სიგრძეები არ იქნება საშუალოდ 50-70 მეტრზე მეტი, ხოლო ეგზ-ის საწყის მონაკვეთზე, კერძოდ „N1/93“ და „N2/92“ საყრდენი ანძების მოწყობის მიზნით, ასევე სამშენებლო ბანაკსა და ფუჭი ქანების სანაყაროზე მისასვლელად, საჭირო იქნება დაახლოებით 600 მ სიგრძის გზის მოწყობა.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე, გათვალისწინებულია სამშენებლო ბანაკის მოწყობა, რომელიც წარმოადგენს შპს „ბლექ სი პეტროლიუმის" საკუთრებას (GPS: X-718295.56, Y-4678101.88). სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის ფართობი შეადგენს 3 204 მ². პროექტი არ ითვალისწინებს სამშენებლო ბანაკზე სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს,

ბეტონის კვანძისა და საწვავის სამარაგო რეზერვუარის მოწყობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ანძების საძირკვლები და კონსტრუქციები სამშენებლო ბანაკზე შემოტანილი იქნება მზა სახით. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სასმელად გამოყენებული იქნება ბუტილირებული წყალი, ხოლო სამეურნეო დანიშნულებით ბანაკის ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება 10 მ³ ტევადობის სამარაგო რეზერვუარი. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვა მოხდება ბიო ტუალეტის საშუალებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მუდმივად დასაწყობებას დაქვემდებარებული ფუჭი ქანების რაოდენობა დაახლოებით იქნება 1500-2000 მ³, რომლის ძირითადი ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრილებისათვის და მისასვლელი გზების მოწყობისთვის. ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობა დაგეგმილია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. ფუჭი ქანების სანაყაროს ფართობი იქნება 2 922 მ² (GPS კოორდინატები: X-718292.47; Y-4678171.79).

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარებულია ეგხ-ის მთელ დერეფანში. კვლევის შედეგების მიხედვით არასასურველი საინჟინრო-გეოლოგიური(გეოდინამიკური) პროცესების კვალი, ან მიმდინარეობის ნიშნები არ გამოვლენილა. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ეგხ-ის პროექტის საბოლოო ვარიანტის მომზადება მოხდება დეტალური გეოლოგიური კვლევის შედეგების გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საპროექტო ანძებთან მისასვლელ გზებზე, დაჭაობებულ გრუნტზე გადაადგილების საკითხებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ეგხ-ის დერეფნის მშენებლობის პერიოდში გაიზრდება ხმაურისა და ვიბრაციის შედეგად გამოწვეული ზემოქმედება, რაც გარკვეულ ზეგავლენას მოახდენს გარშემო არსებულ ფაუნის წარმომადგენლებზე. თუმცა, აღნიშნული ზემოქმედება იქნება დროებითი ხასიათის.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ეგხ „N16/76“ და „№17/75“ შორის მონაკვეთზე გადაკვეთს მდ. რიონს. უახლოესი საყრდენი ანძიდან („№17/75“) მდინარის კალაპოტი დაშორებულია 62 მეტრით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მდინარის წყლის ხარისხზე ან ჰიდროლოგიურ რეჟიმზე ზემოქმედების რისკები მინიმალურია.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად ზემოქმედების ქვეშ ექცევა ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (European Nature Information System) 7

ტიპის ჰაბიტატი (G2.81 - ევკალიპტების ნარგავები, G3.F22 - ეგზოტური ფიჭვის სახეობების ნარგავები; G1.44 - შავი და კასპიის ზღვის რეგიონების დაჭაობებული ტყეები; G1.1 - ჭალისა და სანაპირო ტყეები, სადაც დომინირებს მურყანი, არყი, ვერხვი ან ტირიფი; C2.3 - მუდმივი, მიქცევა-მოქცევისგან დამოუკიდებელი, მდორე დინებები; J4.2 - საგზაო ქსელები; J6 - ნაგავსაყრელები). წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო „N13/81“ ანძიდან „N16/76“ საყრდენ ანძამდე ეგხ-ის ხაზი ცალკეულ მონაკვეთებში კვეთს დაჭაობებულ მურყნარ ტყეებს, რომელიც საპროექტო არეალში არსებული ყველაზე ღირებული ჰაბიტატია. მურყნარებში ერთეული ძირების სახით შერეულია საქართველოს წითელი ნუსხით დაცული მცენარეთა სახეობა ლაფანი (*Pterocarya pterocarpa*).

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ფაუნაზე ზემოქმედების მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ორნითოფაუნაზე ზემოქმედების საკითხი, რასთან დაკავშირებით სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია 2023 წლის აგვისტოს თვეში ჩატარებული ორნითოლოგიური კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც სავლეთ კვლევას უშუალოდ საპროექტო დერეფანში საქართველოს და საერთაშორისო წითელი ნუსხებით დაცული სახეობების საბინადრო ადგილები არ დაფიქსირებულა, რაც განპირობებულია სარკინიგზო ხაზის და საავტომობილო გზის უშუალო სიახლოვით. გარდა ამისა, ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციისას გასათვალისწინებელია ხელფრთიანებზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო დერეფანში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე შესაძლოა მოხდეს ხელფრთიანთა შემდეგი სახეობები: დიდი ცხვირნალა (*Rhinolophus ferrumequinum*), მცირე ცხვირნალა (*Rhinolophus hipposideros*), ულვაშა მლამიობი (*Myotis mystacinus*), მეგვიანე ღამურა (*Eptesicus serotinus*), წითური მეღამურა (*Nyctalus noctula*), ჩვ. ფრთაგრძელი (*Miniopterus schreibersii*), ჯუჯა ღამორი (*Pipistrellus pipistrellus*) და სხვა. თითოეული მათგანი წარმოადგენს ბონისა და ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების კონვენციებით დაცულ სახეობებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ეგხ-ის დერეფანი განთავსებული იქნება ზურმუხტის ქსელის მიღებული უბნის (“Kolkheti GE0000006”) უშუალო სიახლოვეს. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ელექტროგადამცემი ხაზი ერთ-ერთ საპროექტო მონაკვეთზე გადაკვეთს მდ. რიონს, რომელიც მოქცეულია კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის საზღვრებში. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ეგხ-ის უმეტესი ნაწილი 15 ანძა ხვდება: ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვან ტერიტორიაზე (KBA of "Kolkheti") და კოლხეთის აკვატორიაში - (KBA of "Kolkheti (Aquatory)"). სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ზურმუხტის ქსელის “Kolkheti GE0000006” მიღებულ უბნის და საპროექტო ეგხ-ის პროექტის შესაბამისობის შეფასება შესრულებული იქნება გზმ-ის ეტაპზე.

სკოპინგის ანგარიშიდან დგინდება, რომ კუმულაციური ზემოქმედების თვალსაზრისით ეგხ-ის მშენებლობა და ექსპლუატაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობასთან, გარდა ამისა, ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციური

ზემოქმედების რისკი გარკვეულწილად გაიზრდება საპროექტო ეტაპ-ის დერეფნის სარკინიგზო ხაზთან განთავსებით. სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების რისკების დეტალური შეფასება დაგეგმილია გზშ-ის ეტაპზე.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 25 სექტემბერს ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყულევის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, ხობის მუნიციპალიტეტის, შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“, შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები, განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

4. გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).

5. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ეგზ-ის ტიპის ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ეგზ-ის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
- პროექტის აღწერა, მათ შორის ინფორმაცია საპროექტო ეგზ-ის სიგრძის, საპროექტო მონაკვეთში საყრდენი ანძების რაოდენობის შესახებ, ასევე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების დეტალური აღწერა;
- საპროექტო ეგზ-ის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები, ფიზიკური მახასიათებლების ცხრილი. ამასთან, ინფორმაცია ეგზ-ის ძაბვის, განთავსების ტექნიკური გადაწყვეტების შესახებ;
- საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა/გარემო პირობების დახასიათება, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის დეტალური აღწერა, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში) მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ობიექტების და კერძო საკუთრებების გადაკვეთის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს კერძო მესაკუთრებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საპროექტო ეგზ-ის დერეფნის shp ფაილები, ეგზ-ის საყრდენი ანძების განთავსების GPS კოორდინატები და ზემოქმედების არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები;
- ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონების და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვის შესახებ. ინფორმაცია საპროექტო ბუფერის (სქემატურ რუკაზე დატანილი) შესახებ, მისი ფართობისა და ბუფერში მოქმედი შეზღუდვების შესახებ;
- ეგზ-ის საპროექტო დერეფნიდან და ეგზ-ის დაცვის ზონიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე/დასახლებამდე, ზედაპირული წყლის ობიექტამდე, მდებარეობის მითითებით (რუკაზე ჩვენებით);

- საპროექტო ეგზ-ის სქემა/სიტუაციური რუკა (შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების მითითებით), შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია ეგზ-ის გაყვანისა და ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყლის გამოყენების საჭიროების შესახებ;
- ინფორმაცია სანიაღვრე და ჩამდინარე წყლების წარმოქმნისა და მართვის შესახებ;
- საპროექტო ტერიტორიაზე მისასვლელი გზების შესახებ ინფორმაცია. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია უშუალოდ საყრდენი ანძების განთავსების წერტილებამდე მისასვლელი გზების შესახებ. საპროექტო მისასვლელი გზების პარამეტრების, მოწყობის გეგმისა და მოსალოდნელი ზემოქმედების მითითებით. პროექტის ფარგლებში მოსაწყობი გზები ასახული უნდა იქნეს სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებში;
- პროექტის ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი და მუშაობის ხანგრძლივობა. ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზმ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში საპროექტო ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შესახებ ინფორმაცია.

5.1 სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესახებ, შესაბამისი გეგმა-გრაფიკის და ვადების მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკისა და რაოდენობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების/გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობა და მართვის საკითხები. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს, ფუჭი ქანების/გრუნტის განთავსების მუდმივი/დროებითი ადგილების (სანაყარო/სანაყაროები) შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით (სანაყაროს ფართობისა და GPS კოორდინატების (shp ფაილებთან ერთად) მითითებით). დასაბუთებული უნდა იყოს

სანაყაროს/სანაყაროების განთავსებისთვის შერჩეული ადგილის/ადგილების გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნიკური უპირატესობები;

- ინფორმაცია ობიექტების მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის/ობიექტების (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო გზების შესაბამისი პარამეტრებისა და მოწყობის სქემის მითითებით (შესაბამისი სქემატური ნახაზებითა და shp ფაილებით). ამასთან, მოცემული უნდა იყოს აღნიშნული გზების მოწყობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების საკითხები და შესაბამისი პრევენციული, საკომპენსაციო/შემარბილებელი ღონისძიებები.

5.2 ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის/ბანაკების განთავსების შესახებ, მათ შორის:

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის შესახებ, ბანაკის ადგილმდებარეობის და ფართობების მითითებით (shp ფაილები და GPS კოორდინატები);
- მოცემული უნდა იყოს სამშენებლო ბანაკისთვის შერჩეული ტერიტორიის აღწერა;
- სამშენებლო ბანაკი, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია სამშენებლო ბანაკზე განსათავსებელი ინფრასტრუქტურის შესახებ;
- სამშენებლო ბანაკის წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- (არსებობის შემთხვევაში) სამშენებლო ბანაკზე საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ ინფორმაცია.

5.3 გზშ-ის ანგარიშში, გეოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური პირობების პიკეტური აღწერა (უნდა მოიცავდეს საპროექტო ტერიტორიის სივრცეში არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების აღწერასაც).

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- საშიში გეოლოგიური პროცესების (არსებობის შემთხვევაში) შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით.

5.4. გზშ-ის ანგარიშში, ბიოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- საჭიროა ყურადღება გამახვილდეს პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათ შორის ორნითოფაუნაზე, ჰაბიტატებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელი ნუსხით" დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, წარმოდგენილ იქნას ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები, ფოტომასალასთან ერთად;
- ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი კვეთს კოლხეთის ეროვნულ პარკს, ფრინველთა მნიშვნელოვან ტერიტორიას (IBA – Kolkheti - GE004) და ფრინველთა სპეციალურ დაცულ ტერიტორიას (SPA 17 Kolkheti). ასევე ახლოს მდებარეობს ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ ტერიტორიასთან (კოლხეთი-GE0000006), აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა დაგეგმილი კვლევებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ფრინველებზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილ შემარბილებელ ღონისძიებებზე. მათ შორის ელექტროგადამცემ ხაზებზე ფრინველთა დამაფრთხობელი მოწყობილობების განთავსებასთან დაკავშირებით. ასევე **წარმოდგენილ იქნას ზურმუხტის ქსელზე (კოლხეთი-GE0000006) ზემოქმედების შეფასების ანგარიში (ზზშ)**. ზემოაღნიშნული კვლევების შედეგების საფუძველზე განსაზღვრული უნდა იყოს ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები და მასშტაბი, რის შემდეგაც საჭიროა მომზადდეს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა, სადაც სამონიტორინგო დაკვირვებები მოცემული იქნება ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტისთვის. გეგმაში უნდა აისახოს ასევე შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების, მონიტორინგის ჩატარების სიხშირისა და ვადის/ხანგრძლივობის, ასევე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან ანგარიშგების საკითხები;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით საპროექტო ანძების ნაწილი გადაკვეთს მდ. რიონს. საჭიროა გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნას უფრო დეტალური ინფორმაცია, ზემოაღნიშნულ მონაკვეთებზე, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის შედეგად წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- საჭიროა გზშ-ის ანგარიშის ბიოლოგიური გარემოს აღწერის ნაწილი მოიცავდეს მცენარეთა და ცხოველთა როგორც ქართულ ისე სამეცნიერო (ლათინურ) დასახელებებს;
- წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის ნაწილი კვეთს სახელმწიფო ტყეს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საქმიანობის განმახორციელებელმა ტყითსარგებლობის საკითხი შეათანხმოს შესაბამის ტყის მართვის ორგანოსთან;

- ვინაიდან, საპროექტო ეგზ 3 კმ-ზე მეტ მანძილზე განთავსებული იქნება სარკინიგზო ხაზის უშუალო სიახლოვეს, ასევე მიმდებარედ განთავსებულია ელექტროგადამცემი ხაზები და შესაძლოა სხვა დამატებითი ინფრასტრუქტურაც, შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ იქნეს კუმულაციური ზემოქმედების დეტალური აღწერა, განსაკუთრებით ფრინველებზე და ხელფრთიანებზე მოსალოდნელი ზემოქმედების კუთხით.

6. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- პროექტის ფარგლებში ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ამასთან, მითითებული უნდა იყოს შესაძლო ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში და სხვა;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების კუთხით (ხმაურის გავრცელების სიხშირე და დონე), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, საჭიროების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, დეტალური ინფორმაცია ჩატარებული კვლევების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებული უნდა იყოს პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ობიექტების განთავსების ადგილებიდან მანძილი ზედაპირული წყლის ობიექტებამდე. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა და გრუნტის წყლებზე, დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ნარჩენების მართვის საკითხები. პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, შემდგომი მართვის ღონისძიებების მითითებით;

- შესაძლო ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე. ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ, არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (მარშრუტებისა და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის მითითებით), მათ შორის სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში არსებული და დაგეგმილი პროექტები;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, მიმდებარე არსებული ობიექტების გათვალისწინებით. შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები;
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე (მათ შორის ინფორმაცია, პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მიწის ნაკვეთების, კერძო საკუთრებების შესახებ), ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- გზმ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია;

7. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში:

- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით, ექსპლუატაციის პროცესში, გათვალისწინებული უნდა იყოს მიმდებარედ დაცული ტერიტორიის არსებობა, რათა არ მიადგეს რაიმე სახის ზიანი ეროვნულ პარკში წარმოდგენილ ბიომრავალფეროვნებას;
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი მთლიანი (საპროექტო გზები, სამშენებლო ბანაკი, გადამცემი ხაზის დერეფანი, საყრდენი პოლიგონები, საპროექტო ხაზის დაცვის ზონა) 211474 კვ.მ ფართობიდან (shp ფაილები), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 47968 კვ.მ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, კოლხეთის სატყეო უბნის ფოთის სატყეოს, კვარტალი N1. ამასთან, სახელმწიფო ტყეში მდებარე 47968 კვ.მ ფართობი ნაწილობრივ ზედდებამია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 45.15.22.052; ს/კ 45.15.22.123; ს/კ 45.15.22.124), რაზეც სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის N2457/ს 05/10/2023წ. N2718/ს 30/09/2024წ. N101/ს 12/02/2024წ. და N2719/ს 30/09/2024წ. ბრძანებების საფუძველზე, შპს „ბლექ სი პეტროლიუმს“ მინიჭებული აქვს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება, ხოლო სანაყაროსთვის გათვალისწინებული 2924 კვ.მ მიწის ფართობი არ მდებარეობს სახელმწიფო ტყეში. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან;
- წარმოდგენილი ელექტრონული shp ფაილების მიხედვით, საპროექტო სამშენებლო ბანაკისა და სანაყაროს ტერიტორიები ზედდებამია შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს და წიაღისეული საწვავის ობიექტის Shp ფაილებთან, რასთან დაკავშირებითაც 2024 წლის 30 სექტემბერს გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N548/ს), ამასთან გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება არ ითვალისწინებდა აღნიშნული ობიექტების (სანაყარო და სამშენებლო ბანაკი) მოწყობას, გამომდინარე აქედან, გზშ-ის ეტაპზე გათვალისწინებული და დაზუსტებული უნდა იქნეს ზემოაღნიშნული საკითხი;
- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს ქვესადგურის shp ფაილები, სადაც ასახული იქნება ქვესადგურის ეგზ-სთან დაკავშირების შესახებ ინფორმაცია;
- ვინაიდან საპროექტო ეგზ განთავსდება რკინიგზის ხაზის უშუალო სიახლოვეს, ასევე „N2/92“ და „N3/91“ ანძებს შორის კვეთს სარკინიგზო ხაზს, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს სს „საქართველოს რკინიგზასთან“ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- სკოპინგის ანგარიშში გვ. 18-ზე მოცემულია ურთიერთშეუსაბამო ინფორმაცია 220 კვ საყრდენი ანძების შესახებ, რაც საჭიროებს გზშ-ის ეტაპზე კორექტირებასა და დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 9 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით.

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ხობისა და ფოთის მუნიციპალიტეტებში 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით.** გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.